ფორტეპიანოს პოეტი

ავტორი მაია გოგსაძე

როგორც წინა წერილში აღვნიშნავდი, იმ დროის ტრადიციით, ყოველი ნიჭიერი შემოქმედი საკუთარ შესაძლებლობებს სხვადასხვა ქვეყანაში აჩვენებდა. შოპენის შემთხვევაშიც ასე მოხდა. 1829 წელს ვენაში ახალგაზრდა მუსიკოსის კონცერტი გაიმართა. რეცენზიები ხოტბას ასხამდნენ შოპენის შესრულების ტექნიკურ სრულყოფილებას, პოეტურ სინაზესა და არტისტულობას. იგი გამორჩეული იყო შესრულების მანერით და ამასთან ერთად საკომპოზიტორო ნიშნით, რაშიც იკვეთებოდა ფორტეპიანოსთვის „გაუგონარი ეფექტები“ აღსავსე ფანტაზიითა და გაბედული მდიდარი აზროვნებით. საზოგადოება ფრიდერიკ შოპენის ნიჭს მართლაც დიდი ოვაციებით შეხვდა. გავლენიანი გაზეთი წერდა: „ბატონებო, ქუდები მოიხადეთ, თქვენ წინაშეა გენიოსი“. ამ სიტყვების ავტორი კომპოზიტორი რობერტ შუმანი გახლდათ.

შოპენისთვის უცხო ქალაქში რვათვიანი განმარტოებული ცხოვრება დაიწყო. მისი ილუზიები და იმედები ერთი-მეორის მიყოლებით იმსხვრეოდა. გასული წლის აღფრთოვანებული მიღება-შეხვედრები, გამოსვლები და ბრწყინვალე წარმატება აღარ განმეორებულა. შექმნილი გარემოება შოპენის არტისტულ კარიერას აფერხებდა, რადგან 1830 წლის რევოლუციურმა მღელვარებამ ვენის ჩვეული ცხოვრებაც შეარყია.

ვენის საზოგადოების დამოკიდებულება პოლონელების მიმართ თანდათან გულგრილი გახდა. ხალხმრავალ ადგილებში შოპენს მუდმივად ანტიპოლონური გამოხდომების მოსმენა უწევდა. ფრიდერიკის ყოველი ახალი მცდელობა, კონცერტი გაემართა ზრდილობიან, მაგრამ გულგრილ კედელთან, იმსხვრეოდა. იმედგაცრუებული თავს მოტყუებულად გრძნობდა. როდესაც სევდა მოეძალებოდა წყევლიდა ვენაში გამომგზავრების საათს, ვენის მაღალი საზოგადოების გართობებს. შოპენს სამშობლო ენატრებოდა და იტანჯებოდა, რომ არ შეეძლო მედოლე მაინც ყოფილიყო პოლონურ ჯარში.

ვენის მოუსვენარმა და თავაშვებულმა ცხოვრებამ შოპენი კალაპოტიდან ისე ამოაგდო, რომ შემოქმედებითადაც კი მიჩუმდა. ამ პერიოდში ვენის მუსიკალური ცხოვრება სწრაფად დეგრადირებდა. ბეთჰოვენისა და შუბერტის უდიდესი ფიგურები წარსულს ჩაბარდა. ოპერა დაეცა. ვენის გააზნაურებული მდაბიონი მსუბუქ და სასიამოვნო მუსიკას მოითხოვდნენ. მოახლოებული იყო შოპენის ძვირფასი სამშობლოს – პოლონეთის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ტრაგიკული დაცემაც. შოპენისთვის ეს დიდი ნაციონალური ტრაგედია იყო. პოლონეთის რევოლუციის დამხობამ მომდევნო დარბევებმა და რეაქციამ საბოლოოდ გადაუკეტა შოპენს გზა სამშობლოსკენ.

ამავე დროს, ევროპაში ქოლერის ეპიდემიამ იფეთქა. დაიწყო მოსახლეობის საყოველთაო გასვლა ქალაქიდან და შოპენმაც გადაწყვიტა დაცარიელებული ვენის დატოვება. შოპენმა ბედის ძიება პარიზსა და ლონდონში გადაწყვიტა.

საბოლოოდ დარჩენილი ცხოვრება დასავლეთ ევროპული ცივილიზაციისა და კულტურის უმსხვილეს ცენტრს – პარიზს დაუკავშირა.

„პარიზი ყველაფერია, რაც გსურს“ (ფ. შოპენი)

პარიზში ლიტერატურის სამყარო წარმოდგენილი იყო ისეთი გამოჩენილი მწერლებით, როგორებიც იყვნენ: ბალზაკი, სტენდალი, ჰიუგო, მერიმე, ჟორჟ სანდი, მიუსე და მრავალი სხვა. ეს საოცარი ქალაქი თავისუფალი აზროვნების სალოცავ ადგილად იყო მიჩნეული. პროზაიკოსები და პოეტები პარიზს ზღვას, უფსკრულს, მორევს, გარყვნილთა ბუნაგს ადარებდნენ. სინამდვილეში პარიზი XVIII საუკუნის 30-იან წლებში მართლაც ასეთი იყო.

მშვიდ და აუჩქარებელ ვარშავურ ყოფას შეჩვეულმა, შთაბეჭდილებებით გაბრუებულმა გამოუცდელმა ჭაბუკმა ფრიდერიკმა როგორღაც მოახერხა მორგებოდა მტრულად განწყობილ საზოგადოებასა და გაუფერულებულ ვენას. მაგრამ აქ, პარიზის ნამდვილ ქაოსში სწრაფად ორიენტირება და მოქმედება ესაჭიროებოდა. შოპენი იძულებული გახდა დასაყრდენი პოლონელ ემიგრანტებთან ეპოვა, რომლებმაც აჯანყების დამარცხების შემდეგ საფრანგეთის დედაქალაქს თავი შეაფარეს. სავსებით შესაძლებელია, რომ სწორედ ემიგრირებულმა პოლონელმა არისტოკრატიამ შეუწყო ხელი შოპენის პოპულარობის ზრდას პარიზის მაღალ საზოგადოებაში.

შოპენმა პარიზელების სიყვარული – შესანიშნავი პიანისტისა და კომპოზიტორის რეპუტაცია 26 წლის ასაკში მოიპოვა. მაღალი საზოგადოების ეგზალტირებული ქალბატონები აღფრთოვანებაში მოჰყავდა მის პოლონეზებს, მაზურკებსა და ვალსებს.

შოპენის მიერ ესტრადულ-ვირტუოზული ჟანრის მიმართ ყურადღება ესტრადის კანონებით იყო ნაკარნახევი. იმ დროის საკონცერტო პროგრამები აჭრელებული იყო ვარიაციებით, პოპურებით, ფანტაზიებითა და პარაფრაზებით. შოპენმა ამ სახეობათა დიდი მოთხოვნა გაითვალისწინა და ასპარეზად არტისტული შემოქმედება აირჩია. შოპენს საზოგადოება იღებდა, როგორც პირველი რანგის ვირტუოზს და XIX საუკუნის პოპულარულ პიანისტთა გვერდით აყენებდა. მიუხედავად იმისა, რომ შოპენის ტალანტი ევროპულ მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებდა, მას მაინც მშობლიური ტყეებისა და მინდვრებისკენ, მშვიდი ცხოვრებისკენ მიუწევდა გული.

პოლონეთის რევოლუციამ თითქოს რაღაც ზღვარი გაავლო შოპენის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ორ დიდ პერიოდს შორის. ვარშავა – უღრუბლო ახალგაზრდობა ნაირფერი იმედებით. პარიზი კი მზარდი სულიერი სიმწიფით, საკომპოზიტორო მწვერვალების დაპყრობით და ცხოვრება – ყველა მისი დრამატული კონტრასტებით.

შოპენისთვის პარიზში გატარებული წლები მრავალმხრივი ევროპული მუსიკალური კულტურის ათვისების ხანა გამოდგა. ის ეცნობოდა იტალიურ და ფრანგულ ოპერებს, სიმღერის

ხელოვნებას, წარმოდგენილი პირველი კლასის იტალიელი და ფრანგი მომღერლების მიერ, პიანიზმის უმაღლეს მიღწევებს, ვირტუოზულ სავიოლინო სკოლას და ა.შ. შოპენზე გავლენას ახდენდა ხელოვნებისა და ლიტერატურის გამოჩენილ ადამიანებთან ურთიერთობა, იზრდებოდა მისი ინტელექტი, სიღრმე, მუსიკალური იდეების მრავალმხრივობა და ოსტატობა.

25 წლის ასაკისთვის ამ უდიდესმა ვირტუოზ-პიანისტმა საკონცერტო მოღვაწეობაზე, პრაქტიკულად, უარი განაცხადა, ვინაიდან ფართო საზოგადოების წინაშე თავს არაბუნებრივად, შებოჭილად გრძნობდა. შოპენი თავისუფლად მხოლოდ სალონებსა და მუსიკოსების წრეში უკრავდა.

შოპენმა ძალზე სწრაფად იპოვა საკუთარი ინტონაციის ღრმად ინდივიდუალური სისტემა, რომელმაც მთლიანად განსაზღვრა მისი მუსიკალური სტილის თავისებურება. ორგანული და განუმეორებელი „შოპენური ინტონაციით“ გამსჭვალულია ყოველი მისი ნაწარმოები, რაც ავტორის ადვილად ამოცნობის საშუალებას იძლევა. დაახლოებით ცხრამეტი წლის იყო, როცა ფორტეპიანოდან ახალი ჟღერადობის მოპოვებაში – ხმოვანების დიაპაზონის გაფართოებაში დახელოვნდა. მან გამოიგონა სრულიად ახალი მიდგომა, შექმნა ახალი მუსიკალური ენა და ფრაზირება, რომელსაც დღემდე აღფრთოვანებაში მოვყავართ.

განუმეორებელია შოპენის მელოდიების ორნამენტულობა, ფაქიზი პასაჟები, რომლებიც მოგვაგონებს კოლორატურულ რულადებს, მელიზმებს, გრუპეტოს, ფორშლაგს, საკონცერტო კადენციების ბრუნვებს. ყოველივე ეს შოპენის მუსიკას უნაზეს გრაციოზულობას ანიჭებს.

შოპენი XIX საუკუნის კომპოზიტორთა შორის ერთადერთი იყო, რომელიც ცხოვრების ბოლომდე ერთადერთი საკრავის – ფორტეპიანოს ერთგული დარჩა და შემოქმედება მხოლოდ საფორტეპიანო მუსიკის ჩარჩოებით შემოფარგლა. ერთი შეხედვით, შოპენის განსაკუთრებული ერთგულება საფორტეპიანო მუსიკის მიმართ შეიძლება მის შეზღუდულ შესაძლებლობად ჩაითვალოს. მაგრამ არა, შოპენმა მრავალწახნაგოვანი ხელოვნების ისეთ სიმაღლეებს მიაღწია, რომლებსაც სხვა კომპოზიტორები უამრავი სახეობის ინსტრუმენტული მუსიკის შექმნით თუ აღწევდნენ. შოპენისთვის როიალი უნივერსალური საკრავი იყო. მასთან ურთიერთობით ინტიმურ ენაზე საუბარის, სულის საიდუმლოებების გაზიარების შესაძლებლობა ეძლეოდა. იგი არასდროს არღვევდა ფორტეპიანოს სპეციფიკას და ამავე დროს ამ ერთი საკრავით მთელი ორკესტრის ფერთა პალიტრას გადმოსცემდა. ფორტეპიანოს ყველა გამომსახველობით რესურსში გენიალური წვდომით შოპენმა შეძლო უსასრულოდ გაეფართოებინა ამ საკრავის საზღვრები და მისთვის მანამდე გაუგონარი მნიშვნელობა მიენიჭებინა.

„ფოლკლორმა შოპენს უფრო მეტი მისცა, ვიდრე ყველა მასწავლებელმა ერთად“

პოლონეთის ფოლკლორთან უშუალო შეხება შოპენის ბავშვურ და ახალგაზრდულ წლებს უკავშირდება, როდესაც ქალაქელი ყმაწვილი ზაფხულის თვეებს მეგობრების მამულში – ძირძველ სოფლებში ატარებდა. აქ იგი ღრმად წვდებოდა ხალხური მუსიკალური შემოქმედების წყაროებს, საათობით აკვირდებოდა სოფლურ ცეკვებსა და სიმღერებს, დაკვირვებით უსმენდა ორკესტრის მიერ თავმომწონედ აჟღერებულ მაზურკებსა და პოლონეზებს. შოპენი თავად აღიარებდა: „დიდხანს ვსწავლობდი შემეგრძნო პოლონური ხალხური სიმღერა“. პოლონელი ბიოგრაფის აზრით: „ფოლკლორმა შოპენს უფრო მეტი მისცა, ვიდრე ყველა მასწავლებელმა ერთად“. ფრიდერიკი პირველი მუსიკალური შთაბეჭდილებებისთვის დედის მადლიერია, რომელმაც ჩვილობის ასაკიდან ჩაუნერგა ხალხური მელოდიების სიყვარული.

შოპენი ხალხურ მუსიკას განადიდებდა. საკუთარი სულის დახვეწილ პრიზმაში „გატარებით“ ყოველგვარი სიუხეშისგან და ტრივიალურობისგან „ასუფთავებდა“, რომელიც ასე ორგანულად შეერწყა დასავლეთ ევროპულ მუსიკას. ევროპული ქვეყნების პროფესიონალური შემოქმედებიდან გამქრალი ხალხური კილოები შოპენისთვის ქმედითი და სრულფასოვანი აღმოჩნდა. სწორედ ფოლკლორი დაედო საფუძვლად შოპენის მუსიკალურ ენას.

შოპენის შემოქმედება გაჟღენთილი იყო პოლონური ხალხური სიმღერებისა და ცეკვების არომატით, მშობლიური ბუნების სურათებით. ბუნებრივია, ამგვარი მუსიკა პოლონელებს აღაფრთოვანებდა რუსეთის, პრუსიისა და ავსტრიის წინააღმდეგ თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

მიუხედავად იმისა, რომ შემოქმედებითი ცხოვრების დიდი ნაწილი შოპენმა სამშობლოს საზღვრებს გარეთ გაატარა, უპირველესად აღიქმება, როგორც პოლონელი ხალხის შვილი. ამავდროულად, მისი მუსიკა მსოფლიოს ყოველი კულტურული ადამიანის სულიერი ცხოვრების ნაწილი გახდა.

ფრიდერიკის ახირებანი

წერილის დასასრულ ყურადღება მივაპყროთ შოპენის ერთ-ერთ საუკეთესო ოპუსს –

Barcarole (Fis-dur), Op. 60, შექმნილი სასიყვარულო გრძნობების მოზღვავებისას ბუნების წიაღში. ბავშვობიდანვე კარგად გათვითცნობიერებული იტალიური მუსიკალური კულტურით და აღფრთოვანებული ბელინის ოპერით „ნორმა“, შოპენმა „ბარკაროლას“ სახით დაგვიტოვა იტალიური ატმოსფეროს შესაქმნელად უშესანიშნავესი ნიმუში. შოპენის მიერ ფორტეპიანოსთვის შექმნილი ნაწარმოები „ბარკაროლა“ წარმოდგენილია ბალადურ-პოემურ ფორმაში და ითავსებს რთულ სამნაწილიან და სონატური სტრუქტურის ნიშნებს. სამნაწილიანი ფორმა ტრადიციულია ბარკაროლასთვის, ხოლო სონატური ფორმა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ასრულებს ჟანრის სიმფონიზაციისთვის. შოპენმა გააფართოვა მარტივი, თითქმის ცხოვრებისეული ჟანრის ჩარჩოები და შექმნა დიდი გაქანების ნაწარმოები.

[იხილეთ ვიდეოს ბმული]

P.S. კონცერტზე დამსწრეების გადმოცემით, შოპენმა „ბარკაროლა“ ჩუმად დაასრულა და უკანასკნელი ორი ოქტავა პიანისიმოზე (pp) აიღო, მაშინ, როცა სანოტო გამოცემაში სამი ფორტე (fff) მკაფიოდ იკვეთება. რას შეიძლება მიეწეროს აღნიშნული „გადახვევა“ – ფიზიკურ სისუსტეს, ერთგვარ კონცეფციას თუ მისთვის დამახასიათებელ ერთ-ერთ ახირებათაგანს? ასეა თუ ისე, თამამად შეგვიძლია ერთ რამეზე შევთანხმდეთ, „ბარკაროლა“ კომპოზიტორის საუკეთესო ქმნილებაა.